

ემოციური თვითეფექტიანობა ბუღერ და მსხვერპლ მოზარდებში

ლელა ჩაკვეტაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წინამდებარე სტატიის ავტორი, ვაცხადებ, რომ სტატია არის ჩემი ორიგინალური ნამუშევარი და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც სტატიაში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლელა ჩაკვეტაძე

14.06.2018

აბსტრაქტი

ბულინგი ძალადობის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. ყოველწლიურად 246 მილიონი ბავშვი და მოზარდი განიცდის ფიზიკურ, ვერბალურ თუ სოციალურ ჩაგვრას თავიანთი თანატოლების მხრიდან. საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებულ კვლევებში, ბულინგი გამოკვეთილია, როგორც გადაუჭრელი პრობლემა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ, როგორც მასწავლებლებში, ასევე მოსწავლეებში, ბულინგის ზოგიერთი ფორმა ძალადობად არ აღიქმება; საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი არ ფლობს ბულინგის ინციდენტების გამოვლენის და ადეკვატური ინტერვენციისთვის საჭირო კომპეტენციებს. ამ კუთხით ჩატარებული კვლევების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს ემოციური უნარების ნაკლებობას, როგორც ბულინგის და ვიქტიმიზაციის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს. წინამდებარე კვლევა ეხება ემოციური თვითეფექტიანობის კავშირს ბულინგსა და ვიქტიმიზაციასთან. კვლევაში გამოყენებულია რობერტო პარადას მიერ შემუშავებული თანატოლებთან ურთიერთობის სკალა მოზარდებისთვის. (Parada. 2000. Adolescent Peer Relations Instrument) სკალა მოიცავს როგორც ბულინგის ქცევის, ასევე ვიქტიმიზაციის სექციებს. ხოლო ემოციური თვითეფექტიანობა გაზომილია პამელა ქუალტერის ემოციური თვითეფექტიანობის სკალით მოზარდებისთვის. (Qualter and others. 2015 “The Emotional Self-Efficacy Scale For Youth) კვლევამ აჩვენა, რომ ბულინგსა და ემოციურ თვითეფექტიანობას შორის საშუალო უარყოფითი კორელაციაა. უარყოფითი კავშირის ტენდენცია დაფიქსირდა ემოციურ თვითეფექტიანობასა და ვიქტიმიზაციას შორის.

საკვანძო სიტყვები: ბულინგი, ვიქტიმიზაცია, ემოციური თვითეფექტიანობა.

Abstract

Bullying is one of the widespread forms of violence in the world. Every year 246 million children and adolescents suffer physical, verbal or social oppression from their peers. Studies in the field of violence against children in Georgia are considered as unsolved problem. The situation is complicated by the fact that, as in teachers and pupils, some form of bullying is not perceived as violence. The staff of educational institutions do not possess the necessary competences for detecting and adequate interventions in the bullying incident. A large part of the researches carried out in this regard emphasizes the lack of emotional skills as one of the causes of bullying and victimization. The present study refers to the emotional self-efficiency relationship with bullying and victimization. A peer-to-peer relationship scale for adolescent by Roberto Parada is used in the study. (Parada, R. H. 2000. Adolescent Peer Relations Instrument). The scale includes both bullying behavior and victimization sections, while emotional self-efficacy is measured by Pamela Kulter's emotional self-efficacy scales for adolescents. (Qualter and others. 2015 "The Emotional Self-Efficacy Scale For Youth). Study has shown that there is the average negative correlation between bullying and emotional self-efficiency. The tendency of negative communication was observed between emotional self-efficiency and victimization.

Key Words: *Bullying; Victimization; Emotional Self-Efficacy.*